პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
---ივლისი 2025 წელი

ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, ვარკეთილის მეურნეობის ტერიტორიასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის სპორტსმენი, მოფარიკავე ვლადიმერ აფციაურის სახელის მინიჭების შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. სამგორის რაიონში, ვარკეთილის მეურნეობის ტერიტორიასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს სპორტსმენი, მოფარიკავე ვლადიმერ აფციაურის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.
2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.
3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე **ზურაბ აბაშიძე**

60
1 : 6123
გეოგრაფიული (გრძედი

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

22 ვახტანგ გორგასლის ქუჩა
0114 თბილისი, საქართველო
+995 32 240 54 05
info@napr.gov.ge

26 / ივნისი / 2024 წ.

06-0324178108-03

KA011749796168524

(1)-(2)

№ **138022**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს
ბატონ გიორგი ტყემალაძეს

ბატონო გიორგი,

გაცნობებთ, რომ 2024 წლის 25 ივნისს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს M24010214 განცხადებით მომართა მოქალაქე ციალა რუაძემ (პ/ნ:13001038698), რომლითაც მოითხოვა შენობა-ნაგებობების ნუმერაციის წარმოშობა შემდეგ უძრავ ნივთზე, მისამართით: ქალაქი თბილისი, დიდი ლილო, ვარკეთილის მეურნეობა (საკადასტრო კოდით N 01.81.08.432.001).

საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში დაცული მონაცემების თანახმად, უძრავი ნივთის (საკადასტრო კოდით N 01.81.08.432.001) მიმდებარედ არსებულ გეოგრაფიულ ობიექტს არ გააჩნია ქუჩის სახელწოდება. „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 20^2 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად - „დაუშვებელია იმ გეოგრაფიული ობიექტის ნუმერაცია, რომელიც არ არის სახელდებული საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით“. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის N239 დადგენილების მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და ამავე მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, გთხოვთ თქვენი კომპეტენციის ფარგლებში განიხილოთ და განახორციელოთ აღნიშნული გეოგრაფიული ობიექტის სახელდება.

(დანართი: 1 გვერდი)

პატივისცემით,

სამისამართო დეპარტამენტის უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ნინო ბახია

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

22 ვახტანგ გორგასლის ქუჩა
0114 თბილისი, საქართველო
+995 32 240 54 05
info@napr.gov.ge

2.

04-03240652-03
~~17-03242764-03~~

04 / მარტი / 2024 წ.

KA011760617069824

№ **49948**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ გიორგი ტყემალაძეს

ბატონო გიორგი,

გაცნობებთ, რომ 2024 წლის 29 თებერვლის საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს N M24003686 განცხადებით მომართა მოქალაქე ბექა მაჭარაშვილმა (პ/ნ:01811113685) რომლითაც მოითხოვა შენობა-ნაგებობების ნუმერაციის წარმოშობის რეგისტრაცია შემდეგ უძრავ ნივთზე, მისამართით: ქალაქი თბილისი , დიდი ლილო, ვარკეთილის მეურნეობა. (საკადასტრო კოდით N 81.08.32.269).

საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში დაცული მონაცემების თანახმად, უძრავი ნივთის (საკადასტრო კოდით N 81.08.32.269) მიმდებარედ არსებულ გეოგრაფიულ ობიექტს არ გააჩნია ქუჩის სახელწოდება. „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 202 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად - „დაუშვებელია იმ გეოგრაფიული ობიექტის ნუმერაცია, რომელიც არ არის სახელდებული საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით“. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის N239 დადგენილების მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და ამავე მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, გთხოვთ თქვენი კომპეტენციის ფარგლებში განიხილოთ და განახორციელოთ აღნიშნული გეოგრაფიული ობიექტის სახელდება.

პატივისცემით,

სამისამართო დეპარტამენტის უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპადასმულია
ელექტრონულად

ნინო ბახია

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

22 ვახტანგ გორგასლის ქუჩა
0114 თბილისი, საქართველო
+995 32 240 54 05
info@napr.gov.ge

23 / აგვისტო / 2024 წ.

KA011772405605224

2

№ **189206**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ გიორგი ტყემალაძეს

06-032423655-03

ბატონო გიორგი,

გაცნობებთ, რომ 2024 წლის 19 აგვისტოს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს N M24013435 განცხადებით მომართა მოქალაქე იაგორ მარტიროსიანმა (პ/ნ: 01013008902) რომლითაც მოითხოვა შენობა-ნაგებობების ნუმერაციის წარმოშობის რეგისტრაცია შემდეგ უძრავ ნივთზე, მისამართით: ქალაქი თბილისი, დიდი ლილო, ვარკეთილის მეურნეობა. (საკადასტრო კოდით N 81.08.32.281).

საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში დაცული მონაცემების თანახმად, უძრავი ნივთის (საკადასტრო კოდით N 81.08.32.281) მიმდებარედ არსებულ გეოგრაფიულ ობიექტს არ გააჩნია ქუჩის სახელწოდება. „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 20^2 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად - „დაუშვებელია იმ გეოგრაფიული ობიექტის ნუმერაცია, რომელიც არ არის სახელდებული საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით“. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის N239 დადგენილების მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და ამავე მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, გთხოვთ თქვენი კომპეტენციის ფარგლებში განიხილოთ და განახორციელოთ აღნიშნული გეოგრაფიული ობიექტის სახელდება.

დანართი: 1 (ერთი) გვერდი.

პატივისცემით,

სამისამართო დეპარტამენტის უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ნინო ბახია

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

22 ვახტანგ გორგასლის ქუჩა
0114 თბილისი, საქართველო
+995 32 240 54 05
info@napr.gov.ge

06-032519117-03 (3)

10 / ივლისი / 2025 წ.

KA011799335674425

№ 154124

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გაცნობებთ, რომ 2025 წლის 2 ივლისს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს M25008198 განცხადებით მომართა მოქალაქე ნათელა სორდიამ (პ/ნ:19001062127), რომლითაც მოითხოვა შენობა-ნაგებობების ნუმერაციის წარმოშობა შემდეგ უძრავ ნივთზე, მისამართით: ქალაქი თბილისი, დიდი ლილო, ვარკეთილის მეურნეობა (საკადასტრო კოდით N 81.08.26.760).

საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში დაცული მონაცემების თანახმად, უძრავი ნივთის (საკადასტრო კოდით N 81.08.26.760) მიმდებარედ არსებულ გეოგრაფიულ ობიექტს არ გააჩნია ქუჩის სახელწოდება. „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 20^2 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად - „დაუშვებელია იმ გეოგრაფიული ობიექტის ნუმერაცია, რომელიც არ არის სახელდებული საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით“. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის N239 დადგენილების მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და ამავე მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, გთხოვთ თქვენი კომპეტენციის ფარგლებში განიხილოთ და განახორციელოთ აღნიშნული გეოგრაფიული ობიექტის სახელდება.

დანართი: 1 (ერთი) გვერდი.

პატივისცემით,

სამისამართო დეპარტამენტის უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ნინო ბახია

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

22 ვახტანგ გორგასლის ქუჩა
0114 თბილისი, საქართველო
+995 32 240 54 05
info@napr.gov.ge

16 / მაისი / 2025 წ. 06-032513632-03

KA011703339812525

№ 107301

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს

ბატონ გიორგი ტყემალაძეს

ბატონო გიორგი,

გაცნობებთ, რომ 2025 წლის 15 მაისს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს M25005860 განცხადებით მომართა მოქალაქე ირაკლი ჯანიაშვილმა (პ/ნ:01012028963), რომლითაც მოითხოვა შენობა-ნაგებობების ნუმერაციის წარმოშობა შემდეგ უძრავ ნივთზე, მისამართით: ქალაქი თბილისი, დიდი ლილო, ვარკეთილის მეურნეობა (საკადასტრო კოდით N81.08.26.173).

საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში დაცული მონაცემების თანახმად, უძრავი ნივთის (საკადასტრო კოდით N 81.08.26.173) მიმდებარედ არსებულ გეოგრაფიულ ობიექტს არ გააჩნია ქუჩის სახელწოდება. „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 20^2 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად - „დაუშვებელია იმ გეოგრაფიული ობიექტის ნუმერაცია, რომელიც არ არის სახელდებული საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით“. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის N239 დადგენილების მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და ამავე მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, გთხოვთ თქვენი კომპეტენციის ფარგლებში განიხილოთ და განახორციელოთ აღნიშნული გეოგრაფიული ობიექტის სახელდება.

დანართი: 1 (ერთი) გვერდი

პატივისცემით,

სამისამართო დეპარტამენტის უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ნინო ბახია

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

22 ვახტანგ გორგასლის ქუჩა
0114 თბილისი, საქართველო
+995 32 240 54 05
info@napr.gov.ge

06 / თებერვალი / 2025 წ.

(8)

KA011794401991425

№ **26872**

06-03250387-03

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ გიორგი ტყემალაძეს

ბატონო გიორგი,

გაცნობებთ, რომ 2025 წლის 5 თებერვალს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს M25001323 განცხადებით მომართა მოქალაქე ალექსი სულხანიშვილმა (პ/ნ: 12001007239) რომლითაც მოითხოვა შენობა-ნაგებობების ნუმერაციის წარმოშობის რეგისტრაცია შემდეგ უძრავ ნივთზე, მისამართით: ქალაქი თბილისი, დიდი ლილო, ვარკეთილის მეურნეობა (საკადასტრო კოდით N 81.08.32.580).

საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში დაცული მონაცემების თანახმად, უძრავი ნივთის (საკადასტრო კოდით N 81.08.32.580) მიმდებარედ არსებულ გეოგრაფიულ ობიექტს არ გააჩნია ქუჩის სახელწოდება. „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 20^2 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად - „დაუშვებელია იმ გეოგრაფიული ობიექტის ნუმერაცია, რომელიც არ არის სახელდებული საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით“. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის N239 დადგენილების მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და ამავე მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, გთხოვთ თქვენი კომპეტენციის ფარგლებში განიხილოთ და განახორციელოთ აღნიშნული გეოგრაფიული ობიექტის სახელდება.

დანართი: 1 (ერთი) გვერდი.

პატივისცემით,

სამისამართო დეპარტამენტის უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ნინო ბახია

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

22 ვახტანგ გორგასლის ქუჩა
0114 თბილისი, საქართველო
+995 32 240 54 05
info@napr.gov.ge

21 / აგვისტო / 2024 წ.

8

KA011756688396524

№ 186469

06-032423470-03

ბატონო გიორგი,

გაცნობებთ, რომ 2024 წლის 15 აგვისტოს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს M24013255 განცხადებით მომართა დიმიტრი წერეთელმა (პ/ნ:01011070622), რომლითაც მოითხოვა შენობა-ნაგებობების ნუმერაციის წარმოშობა შემდეგ უძრავ ნივთზე, მისამართით: ქალაქი თბილისი, დიდი ლილო, ვარკეთილის მეურნეობა (საკადასტრო კოდით N 01.81.08.255.067).

საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში დაცული მონაცემების თანახმად, უძრავი ნივთის (საკადასტრო კოდით N 01.81.08.255.067) მიმდებარედ არსებულ გეოგრაფიულ ობიექტს არ გააჩნია ქუჩის სახელწოდება. „საჯარო რეესტრის შესახებ" საქართველოს კანონის 20^2 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად - „დაუშვებელია იმ გეოგრაფიული ობიექტის ნუმერაცია, რომელიც არ არის სახელდებული საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით". აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის N239 დადგენილების მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის და ამავე მუხლის მე-4 პუნქტის „ა" და „ბ" ქვეპუნქტების შესაბამისად, გთხოვთ თქვენი კომპეტენციის ფარგლებში განიხილოთ და განახორციელოთ აღნიშნული გეოგრაფიული ობიექტის სახელდება.

დანართი: 1 (ერთი) გვერდი

პატივისცემით,

სამისამართო დეპარტამენტის უფროსი

ხელმოწერილია/
მტკიცდასმულია
ელექტრონულად

ნინო ბახია

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-032519850**
თარიღი: **17/07/2025**

ადრესატი: საქართველოს სპორტის სამინისტრო

ასლი:

ადრესატი: საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი
მისამართი: საქართველო მაჩაბლის ქ. N11

ადრესატი: საქართველოს ძალოსნობის ეროვნული ფედერაცია
საიდენტიფიკაციო ნომერი: 204892777
მისამართი: საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ილია ჭავჭავაძის გამზირი, №49ბ

ადრესატი: საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია
საიდენტიფიკაციო ნომერი: 204889488
მისამართი: საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ილია ჭავჭავაძის გამზირი, №49ა

ადრესატი: ქართული ხმალაობის და ფარიკაობის ეროვნული ფედერაცია
საიდენტიფიკაციო ნომერი: 404455629
მისამართი: საქართველო, ქ. თბილისის, ძველი თბილისის რაიონში, ლ.ასათიანის ქ., N 28

ადრესატი: სა►►ართველოს მძლეოსნობის ეროვნული ფედერაცია
საიდენტიფიკაციო ნომერი: 204896924
მისამართი: საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ჭავჭავაძის გამზირი № 49 ბ

როგორც მოგეხსენებათ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია ახორციელებს თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდებას.

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, გეოგრაფიულ ობიექტებს შესაძლოა მიენიჭოს იმ სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეთა სახელები, რომლებსაც განსაკუთრებული ღვაწლი აქვთ შესაბამის სფეროში მოღვაწეობით. სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია რეგულარულად ახდენს ახლადწარმოქმნილი დასახლებებისა და უბნების სახელდებას, კარგ პრაქტიკადაა ჩამოყალიბებული იდენტური დამსახურების მქონე სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეთა სახელების მინიჭება ერთმანეთის მიმდებარედ არსებული ქუჩებისთვის.

გაცნობებთ, რომ კომისია ამ ეტაპზე აქტიურად მუშაობს სამგორის რაიონში, თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ქუჩების სახელდებაზე. ტერიტორიის შესწავლის შემდგომ დგინდება, რომ განაშენიანების პროცესში მყოფ უბანში უკვე წარმოქმნილია რამდენიმე ქუჩა, რომელთა სახელდებაც კომისიამ უახლოეს პერიოდში უნდა მოახდინოს. ვინაიდან ტერიტორია ერთგვარი უბნის სახითა განაშენიანებული გზათა ქსელი ერთმანეთის პარალელურად ყალიბდება. კომისია შესაძლებლად მიიჩნევს აღნიშნულ ქუჩებს მიენიჭოს დამსახურებული ქართველი სპორტცმენების სახელები და ერთგვარი "სპორტსმენების ბლოკი" წარმოიქმნას თბილისის ტოპონიმიკაში.

ჩვენი ვარაუდით, ტერიტორიაზე გამავალ ძირითად ქუჩას მიზანშეწონილი იქნება მიენიჭოს ლევან თედიაშვილის სახელი, ხოლო მის პერპენდიკულარულად არსებულ ქუჩებს შესაძლებელია ეწოდოს: რაფაელ ჩიმიშკიანის, ავთანდილ ქორიძის, მირიან ცალქალამანიძის, ნუგზარ ასათიანის, ვლადიმერ აფციაურის, რობერტ შავლაყაძის, რომან ძნელაძის და დავით ხახალეიშვილის სახელები. უნდა აღინიშნოს, რომ ხსენებული სახელები მოიცავს მხოლოდ მიმდინარე ეტაპზე წარმოქმნილ ქუჩათა ქსელს, შემდგომი ეტაპისთვის შესაძლებელია არსებული პრაქტიკის შენარჩუნება და ტერიტორიაზე წარმოქმნილი სხვა ქუჩებისთვისაც სპორტსმენების სახელების მინიჭება.

მოგმართავთ თხოვნით, გვაცნობოთ თქვენი პოზიცია სახელდებისა და სიმბოლიკის ინიციატივასთან დაკავშირებით, ასევე გთხოვთ, თქვენს ხელთ არსებული რესურსების ფარგლებში გაგვიწიოთ დახმარება იმ სპორტსმენების ოჯახის წევრების ინფორმირებაში, რომელთა სახელების მინიჭებაზეც საუბარია წინამდებარე წერილში

დანართის სახით გიგზავნით კომისიის მიერ დამუშავებული გზათა ქსელის რუკას.

დანართი 8 (რვა) გვერდი.

პატივისცემით:

ლევან აბაშიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

სპორტის
სამინისტრო

შალვა ნუცუბიძის ქუჩა N68
0186 თბილისი, საქართველო
+995 32 250 00 79
info@sport.gov.ge

06-012520337-03.

22/07/2025

№ 00038121

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს, ბატონ ლევან აბაშიძეს

ბატონო ლევან,

თქვენი მიმდინარე წლის 17 ივლისის №03-032519850 წერილის პასუხად, რომელიც ეხება თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდებას, გაცნობებთ, რომ საქართველოს სპორტის სამინისტრო მადლობას მოგახსენებთ და მიესალმება აღნიშნულ ინიციატივას, რომელიც ქართველი სპორტსმენების სახელების უკვდავსაყოფად თვალსაჩინო მაგალითია.

აქვე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია თუ დაემატება (იმ შემთხვევაში თუ არ არსებობს) ვიქტორ სანეევის და ვახტანგ ბლაგიძის სახელობის ქუჩები.

- ვიქტორ სანეევი - სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი და ვერცხლის პრიზიორი მძლეოსნობაში.
- ვახტანგ ბლაგიძე - მსოფლიო ჩემპიონი და ოლიმპიური პრიზიორი თავისუფალი სტილით ჭიდაობაში.

პატივისცემით,

საქართველოს სპორტის სამინისტრო
სპორტის დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
დოლაბერიძე ირაკლი

ასლი სწორია

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-032520342**
თარიღი: **22/07/2025**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგენტოს უფროსს ნინო ბაგაშვილს

ქალბატონო ნინო,

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიამ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მომართვების საფუძველზე დაიწყო ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი სამგორის რაიონში, ვარკეთილის მეურნეობის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული უსახელო ქუჩების სახელდების მიზნით.
გთხოვთ, შეისწავლოთ დანართში ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული გზათა ქსელის პირველადი პროექტები და გამოგვიგზავნოთ სიტუაციური ნახაზები ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

ლევან აბაშიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ვლადიმერ აფციაური

(1962— 2012)

ქართველი **რაპირით** **მოფარიკავე.** **სეულის** **ოლიმპიური** **თამაშების** **ჩემპიონი** **გუნდურ** **ჩათვლაში** **(1988),** **მსოფლიოს** **ჩემპიონი** **გუნდურ** **პირველობაში** **(1982),** **მეორე** **(1988)** **და** **სამგზის** **მესამე** **პრიზიორი** **(1982, 86, 90),** **ევროპის** **თასის** **მფლობელი** **გუნდურ** **ასპარეზობაში** **(1985),** **საერთაშორისო** **მეგობრული** **სპორტული** **თამაშების** **ჩემპიონი** **პირად** **და** **გუნდურ** **პირველობაში** **(1984),** **უნივერსიადის** **მეორე** **პრიზიორი** **(1986),** **სსრკ-ის** **ჩემპიონი** **პირად** **და** **გუნდურ** **ჩათვლაში** **(1984).** **კუვეიტის** **ნაკრების** **(რაპირა)** **მთავარი** **მწვრთნელი** **(1998-2010).** **სსრკ-ის** **სპორტის** **დამსახურებული** **ოსტატი,** **ვახტანგ** **გორგასლის** **II** **ხარისხის** **ორდენის** **კავალერი.**

მოფარიკავეები ორ ძირითად კატეგორიად იყოფიან: ერთნი მეტწილად პირად ტურნირებში იმარჯვებენ, მეორენი კი გუნდურ ბრძოლაში გამოირჩევიან.

ვლადიმერ აფციაური გუნდურ მებრძოლად ჩამოყალიბდა. 1981 წელს, როცა საქართველოს ნაკრებმა საკავშირო ჩემპიონატში მეორე ადგილი დაიკავა, ამ საქმეში ლომის წილი სწორედ აფციაურმა დადო. მერე იყო სსრ კავშირის ნაკრები და ამ ნაკრებთან ერთად მოპოვებული მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული. თანაგუნდელები ამბობდნენ და ნაკრების მწვრთნელებიც ადასტურებდნენ, რომ აფციაურის თავდადებამ მნიშვნელოვანწილად განაპირობა 1982 წელს რომში მოპოვებული მაშინდელი წარმატება. გადამწყვეტი შეხვედრების – ნახევარფინალისა და ფინალის წინ საბჭოთა ნაკრები კაპიტნის, ვლადიმირ სმირნოვის გარეშე დარჩა. სმირნოვმა გერმანელებთან მეოთხედფინალში უმძიმესი ტრავმა მიიღო და მოგვიანებით საავადმყოფოში გარდაიცვალა. სწორედ ამ კრიტიკულ სიტუაციაში გამოვლინდა 20 წლის აფციაურის მებრძოლი ხასიათი. დაძაბულ ნახევარფინალურ მატჩში საბჭოთა

ნაკრებმა იტალიის გუნდი დაამარცხა, ფინალში – ფრანგებისა. გადამწყვეტ მატჩში ქართველმა მოფარიკავემ ოთხივე შეხვედრა მოიგო, მათ შორის – საჩემპიონო დასკვნითი ბრძოლა ფილიპ ომნესთან.

მერე იყო სეულის ოლიმპიადა და იქ მოპოვებული გუნდური ოქრო. სეულში, გერმანელებთან ფინალში აფციაური სამჯერ გამოვიდა საფარიკაო ბილიკზე, სამივე მეტოქე დაამარცხა და ასპროცენტიანი შედეგით დაამთავრა ტურნირი. ფინალის დასკვნით ეტაპზე კარგად გამოვიდნენ აფციაურის თანაგუნდელებიც, საბოლოოდ 9:5 აჯობეს გერმანელებს და ოლიმპიური ჩემპიონები გახდნენ. როგორც სხვა ტურნირებზე, ოლიმპიადაზეც დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, ვინ დაიწყებს შეჯიბრებას, ვინ გახსნის ანგარიშს. სეულში საბჭოთა ნაკრების პირველ ნომრად აფციაური გამოდიოდა, რაც, რა თქმა უნდა, განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას გულისხმობდა. ქართველმა სპორტსმენმა, იმ დროისთვის უკვე გამოცდილმა და ტიტულიანმა, ლიდერის საუკეთესო თვისებები გამოავლინა და ოლიმპიადაზე ყველა პრინციპული ბრძოლა მოიგო. სწორედ ამიტომ იყო, რომ მწვრთნელები, თანაგუნდელები, სპორტული პრესის წარმომადგენლები საგანგებოდ აღნიშნავდნენ ვლადიმერ აფციაურის გამორჩეულ პირად წვლილს დიდ ოლიმპიურ გამარჯვებაში.